კიევი. 9 სექტემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

კიეველი ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ მატჩს კიევისა და თბილისის "დინამოს" თანაკლუბელთა შორის, მაგრამ ეს ინტერესი ამაო გამოდგა. თბილისელებმა უაღრესად დაბალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და ამის გამო მატჩს არ ჰქონდა შესაფერისი სპორტული დაძაბულობა.

ანგარიში უკვე მე–3 წუთზე იქნა გახსნილი ფომინის მიერ. 27–ე წუთზე ბიბამ მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დასასრულს სიჭინავამ საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი – 3:0.

შესვენების შემდეგ გოლოდეცმა მეოთხედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

მატჩი მოიგო კიევის "დინამომ" "მშრალი" ანგარიშით – 4:0.

"ლელო", 11 სექტემბერი, 1958 წ.